“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0)

მოსკოვი. “ტორპედოს” სტადიონი. 22 ივნისი.

“ტორპედო”: ჩანოვი, კრუგლოვი, ჟუპიკოვი, პრიგოდა, პოლუკაროვი, პეტრენკო, კოდილევი, კოვალიოვი, სახაროვი, რედკოუსი, მინაევი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი. გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე (კოპალეიშვილი), მინაშვილი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გაფრთხილებულია ყიფიანი.

დუბლიორები – 1:1 თბილისელთგან ბურთი გაიტანა მუმლაძემ.

თამაშის დასაწყისში რამდენიმე ორმხრივი იერიშის შემდეგ ტორპედოელებმა მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს, ბურთი მიიღო სახაროვმა და შორი მანძილიდან ძლიერად გაგზავნა იგი კარში. გაბელიამ ვერ შეძლო დარტყმის მოგერიება და მე–10 წუთზე მოსკოველები დაწინაურდნენ – 1:0.

ამის შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს თამაში, “ტორპედოს” კართან რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტის შეიქმნა, მეკარე ჩანოვს მძიმე დატვირთვა დააწვა. მან ძნელი ბურთები მოიგერია დარასელიასა და შენგელიასგან, შეტევაში მონაწილეობდნენ სულაქველიძე, ჩივაძე და უკანა ხაზების სხვა მოთამაშეებიც. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა, წარმატების მიღწევის შესაძლებლობები შეექმნათ სახაროვს, პეტრენკოს, მინაევს.

თბილისელთა მნიშვნელოვანი უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. ანგარიშის გათანაბრების ნაღდი შესაძლებლობა მიეცა შენგელიას და მდგომარეობა კვლავ იხსნა ჩანოვმა.

ტორპედოელთა მეკარემ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი შუა ტაიმში, როცა პრიგოდამ უხეშად ითამაშა შენგელიას წინააღმდეგ და ა. ტემეტევმა პენალტი დანიშნა მასპინძელთა კარში. დარტყმა მიენდო ჩელებაძეს, მაგრამ ჩანოვმა კარგად ითამაშა და ფეხით მოიგერია ბურთი.

“დინამომ” კიდევ რამდენიმე შეტევა განახორციელა, მაგრამ 78–ე წუთზე ტორპედოელთა კონტრიერიში მეორე გოლით დაამთავრა კოდილევმა. ამის შემდეგ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

“ლელო”, 24 ივნისი, 1980 წ.